მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2023 წელი, №5

სვანეთის სამანაძეების ეცვეძლის-ციალა ჩართოლანის 90 წლის იუბილესადმი ძიძღვნილი კონფერენცია

30 აგვისტოს, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ჩატარდა სვანეთის მუზეუმის ყოფილი დირექტორის, სვანეთის საგანძურის მცველის - ,სვანური მუსიკალური ფოლკლორი ეთნომუსიკალურ ასპექტში“ „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები„.

კონფერენცია გახსნეს და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: პროფესორები ზვიად კვიციანი, ქეთევან მარგიანი, როზეტა გუჯეჯიანი.. მერის მოადგილე ნელი ნავერიანი, მერის მრჩეველი კულტურის საკითხებში-ლევან კიკვიძე, უამრავი თაობის აღმზრდელი და ყველასთვის ძვირფასი პედაგოგი- ციური გაბლიანი.

მისი ყოვლადუსამღვდელოესობის, მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტ ილარიონის მისასალმებელი სიტყვით დამსწრე საზოგადოებას მიმართა დეკანოზმა ბასილმა (ფილფანი).

კონფერენციაზე წაკითხულ იქნა ძალზედ საინტერსსო მოხსენებები. სხდომის მოდერატორები იყვნენ: ზვიად კვიციანი, ქეთევან მარგიანი, ნინო სამსონია, ჭაბუკა მეტონიძე.

მოხსენებები:

ნინო სამსონია, ზვიად კვიციანი(თსუ) -„ოქროს საწმისის“ კვალი შუმერულ ტექსტში.

- ირაკლი არღვლიანი (სოუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) - სვანურენოვანი ქართველური

მოსახლეობა კოლხური კულტურისა და კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში.

- ჭაბუკა მეტონიძე (თსუ)- სვანურ ტომებში ეთნიკური სუბსტრატის ჩამოყალიბების თავისებურებანი: თანამედროვე სამეცნიერო ინტერპრეტაცია.

- ნინო გელოვანი- თსუ, ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტი- წარმართული ხანის სანახაობები დოკუმენტურ ფილმში „ფენომენი„.

- კობა დევდარიანი (სვანეთის მუზეუმი)- სვანური „ჭუნირის“ შესწავლისათვის.

- გოჩა ჭელიძე - „სვანეთი და

იერუსალიმი„.

- ქეთევან მარგიანი(სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)- წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველი კოლოკაციები სვანურში (ეთნოლინგვისტური ანალიზი).

- ციალა ჩართოლანი (სვანეთი მუზეუმი) - სვანი ქალის უფლებრივი ნორმები.

- ქეთევან მარგიანი-სუბარი (თსუ)- კვლავ ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკის შესახებ სვანურში (კრებითობის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი).

- ივანე მჭედლიძე,ნათია ამირეჯიბი (თსუ) - მგლების ქვეყნის საგანძურის კვალდაკვალ : სვანეთის ეთნოკულტურული სახის რეპრეზენტაცია თანამედროვე უკრაინულ ტრაველოგში.

- ლელა სარალიძე (რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტი) - სვანეთი საქართველოს დე-

მოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921 წწ.)

- თინათინ ჯაბადარი (საქართველოს ეროვნული არქივი) - მასალები 1921-1924 წლების სვანეთის აჯანყების ისტორიისათვის (საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით).

- მარიამ მარჯანიშვილი (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი) - ტრამვული ცნობიერება გივი გაბლიანის მოგონებაში.

- გოგი ყიფიანი - „დისკუსია ქართული სუფრის ფესვების შესახებ“

,,ჩართოლანების წინაშე ვალშია სვანეთი“ - ასეთი სიტყვებით დაიწყო საკუთარი მოხსენება ჭაბუკა მეტონიძემ და ხაზი გაუსვა ასევე პროფესორ შოთა ჩართოლანის ფასდაუდებელ ღვაწლს ქვეყნის წინაშე.

მოხსენებების დასრულების შემდეგ შეხვედრა გაგრძელდა კითხვა- პასუხის რეჟიმში და მომხსენებელთა მხრიდან ყველა დასმულ კითხვას გაეცა ამომწურავი პასუხი.

ქალბატონ ციალა ჩართოლანს იუბილე მიულოცეს და მაღალ დონეზე ჩატარებული კონფერენცია მუსიკალურად გააფორმეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა



„ძირიანი“ (ხელმძღვანელი თორნიკე სხირელი)

და ადგილობრივმა ანსამბლმა „რიჰო“, რის შემდეგაც იუბილარს გადაეცა სხვადასხვა სამახსოვრო საჩუქარი.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო დიდი პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით ულოცავს იუბილეს ქალბატონ ციალა ჩართოლანს. ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი მამულიშვილები ჰყავს. ქალბატონმა ციალამ ხომ 30 წელი თავგანწირვით უდარაჯა ეროვნულ საგანძურს.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს მისი პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობა. მეუღლის- დიდებული ალექსანდრე ჩხვიმიანის საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო ღვაწლი. შვილებისა და შვილიშვილების წარმატებული საქმიანობა.

ქვეყნები ასეთ ადამიანებზე დგანან.

„სვანური მუსიკალური ფოლკლორი ეთნო-მუსიკალურ ასპექტში“

2 ივლისს, სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის სააქტო დარბაზში ჩატარდა გურგენ გურჩიანის წიგნის „სვანური მუსიკალური ფოლკლორი ეთნო-მუსიკალურ ასპექტში“ პრეზენტაცია.

გურჩენ გურჩიანის სახელი კარგადაა ცნობილი ქართულ სამუსიკო ფოლკლორსა და ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების შემსრულებლობაში.

მის მიერ დმანისში 2002 წელს სვანი ეკომიგრანტებისგან შექმნილი ავთენტიკური ფოლკლორული ანსამბლი „შგარიდა“ ორი ათეული წელია ამშვენებს საქართველოს საკონცერტო დარბაზებს, კონფერენციებსა თუ საერთაშორისო ფესტივალებს.

მომღერალი თემის, გვარისა და ოჯახის შვილობამ და თავად ეთნოგრაფმა საუკუნეობრივი ტრადიციის მატარებელმა, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოჰკიდა ხელი მივიწყებული, ლამის გამქრალი სახალხო რელიგიური დღესასწაულების, სვანური ჰიმნ-საგალობლებისა და ფერხულების მოძიება- აღდგენასა და კვლევას.

ასე იშვა ეს განსაცვიფრებელი წიგნი-დვრიტა და მარილი სვანური სამუსიკო ფოლკლორისა, საგზლად

რომ გაჰყვება მეცნიერთა და მკვლევართა მრავალ თაობას.

გურგენ გურჩიანის ეს ნაშრომი ახალი სიტყვაა ქართულ სამუსიკო ფოლკლორისტიკაში.

პრეზენტაციას ადგილობრივი მოსახლეობის გარდა ესწრებოდნენ ანსამბლ „შგარიდას“ წევრები.

გურგებ გურჩიანის თხოვნით, დამსწრე საზოგადოებამ ერთწუთიანი დუმილით პატივი მიაგო ანსამბლის ყოფილი წევრის, ერთი თვის წინ გარდაცვლილი საუკეთესო მომ-

ღერლის-ვალერ ვიბლიანის ხსოვნას.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, დმანისის ანსამბლი „შგარიდა“ გურგენ გურჩიანის ხელმძღვანელობით მუსიკალური ნომრებით წარსდგა მაყურებლის წინაშე.

კონცერტი ჩატარდა მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში. აქვე ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი ანსამბლის შესახებ.

მაყურებლის წინაშე იდგნენ ადამიანები, ჩვენი კუთხის შვილები, რომლებმაც სვანური ფოლკლორის საზღვრები უსასრულობამდე გადაწიეს, ადამიანები, რომელთაც არა მარტო შეინარჩუნეს იდენტობა საზღვრისპირა რეგიონში, არამედ შექმნეს ფოლკლორული ანსამბლი, აღადგინეს, განავითარეს და გააძლიერეს უძველესი სასიმღერო და საფერხულო ნიმუშები.

ანსამბლის წევრები გახლავთ:

გურგენ გურჩიანი (ანსამბლის ხელმძღვანელი)
მათე ჩამგელიანი
მურმან მურღვლიანი
ერეკლე ფილფანი
თორნიკე ჯაჭვლიანი
ლუდა ანსიანი
ვახტანგ გირგვლიანი
ჯოყოლა ჯაჭვლიანი
ანზორ გადრანი
რატი ვიბლიანი
ბაკურ ჯაჭვლიანი
მინდია გურჩიანი
ილია ფილფანი
გიგა ანსიანი
გიორგი ჩარკვიანი
ბიქტორ ცინდელიანი
გიორგი ფილფანი
ილია ჩარკვიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით წლების მანძილზე გაწეული ესოდენ მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის მადლობას ვუხდით ანსამბლის ხელმძღვანელს და გუნდის თითოეულ,,სვანური მუსიკალური ფოლკლორი ეთნო-მუსიკალურ ასპექტში“ წევრს.

ვუსურვებთ მათ მშვიდობას და წარმატებებს.

პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენელთა შეხვედრა ადგილობრივ ბიზნეს სექტორთან

პროფესიული უნარების სააგენტოს და საქართველოს სავაჭრო, სამრეწველო პალატის ერთობლივი ინიციატივით, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, გაიმართა შეხვედრა ბიზნეს სექტორებთან, რომლის სადისკუსიო თემა გახლდათ პროფესიული უნარები რეგიონის განვითარებისთვის.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული განათლების მიმართულებით რეგიონში არსებული ვითარების განხილვა და ბიზნეს სექტორის საჭიროებების მოსმენა.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებით დაინტერესების შემთხვევაში, კერძო სექტორს შესაძლებლობა ეძლევა შეიმუშავოს მის საჭიროებებზე მორგებული პროგრამა.

გასცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატი პროგრამის განსახორციელებლად მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება მომხსენებლები:

მაგდა ბოლოთაშვილი-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, მზია გიორგობიანი-საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, თამარ ქიტიაშვილი-პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი, ლევან კიკვიძე-მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი კულტურისა და სოციალურ საკითხებში, ირმა ჯაფარიძე - პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი&quot“-ს ხელმძღვანელი, თამარ კვინიკაძე-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პეტრე წულუკიძე - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განვითარების მენეჯერი, პროფესიული უნარების სააგენტო, აკაკი კოროშინაძე-დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ხელმძღვანელი. ამასთანავე, შეხვედრის ბოლოს ღონისძიებაში მონაწილე ორგანიზაციებს მიეცათ საშუალება კითხვა-პასუხის რეჟიმში დაეყენებინათ წინადადებები და ინიციატივები რეგიონალური განვითარების საჭიროებებთან დაკავშირებით..

მიწის სისტემური რეგისტრაცია

20 ივლისს მესტიის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში, გაიმართა შეხვედრა საჯარო რეესტრის სააგენტოს წარმომადგენლებთან მიწის სისტემურ რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

შეხვედრის მიზანი გახლდათ,მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მოსახლეობის სრული ინფორმირება.

შეხვედრას ესწრებოდნენ მერიის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებიდან,რომელთაც დაევალათ თემში ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობა.

ცნობილია, რომ მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მაშტაბით 2022 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო.

რეფორმა ქვეყნის 1000-ზე მეტ ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს.

სააგენტოს წარმომადგენლების განმარტებით მოსახლეობის აქტიური ჩართულობის შემთხვევაში შესაძლებელია, მესტიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასრულდეს მიწის სისტემური რეგისტრაციები.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ, ადმინისტრაციული დეპარტამენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ირინე კვაჭანტირაძეს.

ტელეფონის ნომერი +995 599 337 753

გისურვებთ წარმატებებს

„25 000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის„

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საგრანტო პროგრამის „25 000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ გამარჯვებულები სვანეთში გამოვლინდნენ. საერთო ჯამში, დაფინანსდა სამი პროექტი, GITA - ს გრანტი მოიპოვა ორმა სტარტაპმა, ერთს კი USAID - დაფინანსებს.

გამარჯვებული პროექტები:

არქიმარკეტი - პროექტის მიზანია, შეიქმნას ციფრული პლატფორმა, სადაც მოხდება მზა არქიტექტურული

პროექტების, ისევე როგორც მათი მორგებისთვის საჭირო სერვისების, ყიდვა-გაყიდვა.

სვანური სამაგიდო თამაშები ციფრული ელემენტებით - სამაგიდო თამაშები შეიქმნება ხელოვნური ინტელექტის DALL-E - ის დახმარებით, რომელიც ხელს შეუწყობს სვანური კულტურისა და ტრადიციების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ამ ყველაფრის საინტერესოდ და სახალისოდ თამაშებში ინტეგრაციას.

outdoor hobbies - პროექტის მიზანია, შეიქმნას ერთი ფანჯრის პრინციპის მქონე, სპორტული ინვენტარის გა-

ქირავების ონლაინ პლატფორმა, სადაც მომხმარებლები შეძლებენ მარტივად მოიძიონ, იქირაონ ან გააქირაონ სპორტული ინვენტარი.

რეგიონალური საგრანტო პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი ინოვაციური და ტექნოლოგიური ეკოსისტემის გაძლიერებას; ინოვაციური პროდუქტების, მომსახურების, ტექნოლოგიებისა და პროცესების შემუშავება - ათვისებისა და კომერციალიზაციის გზით ინოვაციური და ტექნოლოგიური სტარტაპების შექმნას.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამასთან თანამშრომლობით, საგრანტო პროგრამის ბენეფიციარებს ზუგდიდის, წალენჯიხის, ონისა და მესტიის მუნიციპალიტეტებიდან ექნებათ შესაძლებლობა, მიიღონ დამატებითი რესურსები პროექტების განხორციელებისთვის.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან ითანამშრომლებს სამი სხვადასხვა მიმართულებით. ეს მიმართულებებია: 1) პრე-აქსელერაციის პროგრამები სამეგრელოში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში. 2) ტექნოლოგიური კვირეულები კასპში, გორში, მესტიასა და ზუგდიდში, 3) რეგიონალური საგრანტო პროგრამების კომპონენტი. აღნიშნული პროგრამები ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს და ადგილობრივ მეწარმეებს, შექმნან იდეიდან პროდუქტი, განახორციელონ სტარტაპ პროექტები, რაც რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას

შეუწყობს ხელს. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან მდებარე თემების მოსახლეობას მიეცემა საშუალება, შეისწავლოს ფინანსებზე წვდომის ალტერნატიული წყაროების მოძიების მეთოდები და შექმნას დინამიური ცვლილებების მიმართ მდგრადი

ეკონომიკური განვითარების პოტენციალი.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში უკვე გამოვლინდნენ გამარჯვებულები აჭარის, იმერეთისა და გურიის რეგიონებში. სამეგრელოს, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმში რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს კი 15 მაისიდან საშუალება ჰქონდათ, ელექტრონული პორტალის www.grants.gov.ge მეშვეობით წარედგინათ განაცხადები. სამეგრელოს, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმში რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს კი 15 მაისიდან საშუალება ჰქონდათ, ელექტრონული პორტალის www.grants.gov.ge მეშვეობით წარედგინათ განაცხადები.

საგრანტო წინადადებებს აფასებდა კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი პროფილის მოწვეული ექსპერტებით, შერჩეულმა სტარტაპებმა კომისიის წინაშე წარსადგენად გაიარეს გადამზადების სპეციალური კურსი, რომელიც მოიცავდა: ბაზრის კვლევას, ბაზარზე გასვლის სტრატეგიას, მასშტაბირებასა და ე.წ. „ფიჩინგს„. საგრანტო თანხის მოცულობა

არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს.

გრანტის მიღება შეუძლია სამიზნე რეგიონებში რეგისტრირებულ ან/და მოქმედ ფიზიკურ პირებს, მეწარმე სუბიექტებს და სტარტაპებს. ასევე არარეგისტრირებულმა პირმა კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე სავალდებულოა მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია მოახდინოს შესაბამის რეგიონში.

ტრენინგ ცენტრი მესტიაში

პირველად, მესტიის მუნიციპალიტეტში, ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ქმნის ტრენინგ ცენტრს, რომელიც დაინტერესებულ ადამიანებს შესთავაზებს სხვადასხვა თემატიკის ტრენინგ-კურსებს.

LAG-ის ტრენინგები

1. საპროექტო განაცხადის მომზადება საპროექტო განაცხადის კომპონენტების დეტალური განხილვა და მთავარი სათქმელის ანალიზი;

კონსულტაცია საგრანტო შესაძლებლობებზე;

საპროექტო განაცხადის მომზადების პროცესში კონსულტაცია.

2. ბიზნეს გეგმის მომზადება

ბიზნეს გარემოს შეფასება - კონკურენტები, რესურსები, მომხმარებლები;

პროდუქტის ჩამოყალიბება და განფასება;

ფინანსური გეგმის და პროგნოზის შედგენა.

3. ტრენინგი გენდერული თანასწორობის თემაზე საქართველოს კანონის გაცნობა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით;

გენდერული თანასწორობის და გენდერული მიკერძოების საფუძვლები;

გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა ორგანიზაციულ დონეზე.

4. პროფესიული ორიენტაცია და კარიერული დაგეგმარება დასაქმების პლატფორმებისა და შესაძლებლობების მიმოხილვა;

კარიერის მართვის საფუძვლები - მიდგომები და დოკუმენტები;

თემატური პროფესიული ორიენტაცია.

5. სათემო საჭიროებების იდენტიფიცირება და ადვოკატირება თემის მობილიზების და ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლები;

ადვოკატირების საკანონმდებლო ჩარჩოს გაცნობა;

ადვოკატირების კამპანიის წარმოება.

6.ორგანიზაციული განვითარება პრიორიტეტული მიმართულებების და საკითხების იდენტიფიცირება ადგილობრივ დონეზე;

SWOR ანალიზის მეთოდით ორგანიზაციული შესაძლებლობების შეფასება;

თემატური და ორგანიზაციული სამოქმედო გეგმის შემუშავება.

7.ადამიანური რესურსების მართვა

HR სახელმძღვანელოს შემუშავება/დახვეწა და პროცესების ინტეგრირება სამუშაო პროცესში;

ორგანიზაციული დოკუმენტების შემუშავება/დახვეწა ორგანიზაციის მმართველ ორგანოსთან თანამშრომლობით;

ორგანიზაციული განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავება/ დახვეწა.

8. გუნდური მუშაობა და ლიდერობა

HR სახელმძღვანელოს შემუშავება/დახვეწა ინტერაქტიული მეთოდის გამოყენებით;

სტრატეგიულ-გუნდური აქტივობები;

ორგანიზაციული ხედვის, სტრუქტურის და შიდა პროცესების შემუშავება/დახვეწა.

9. სოციალური მედიის მართვა ორგანიზაციის ვიზუალური იდენტობის (brandbook) შექმნა;

ლოგოების შექმნა/განახლება;

ახალი ვიზუალური იდენტობის მახასიათებლების სამუშაო პროცესში დანერგვა.

10. ვიზუალიზაცია სოციალურ მედიაში ფოტო- და ვიდეო-ისტორიების შექმნა CANVA პროგრამის შესწავლა

სტატისტიკური და დემოგრაფიული მონაცემების ვიზუალიზაცია ინფოგრაფიკების საშუალებით

11. MS Office პროგრამების გამოყენება MS Excel და MS Word დოკუმენტებში მონაცემების შეტანა და დამუშავება;

მონაცემთა ანალიზი და შედეგების ვიზუალიზაცია;

MS PowerPoint პროგრამაში მიღებული შედეგების პრეზენტაცია.

12. ფონდების მოძიება ქრაუდფანდინგის გზით ფინანსური რესურსებისა და მათი მახასიათებლების შესწავლა;

რელევანტური დონორების იდენტიფიკაცია;

თანხების მობილიზების მეთოდების გაცნობა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

13. სტრატეგიული დაგეგმარება და მონიტორინგი და შეფასება მუნიციპალიტეტის/ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული გეგმის და ინდიკატორების შემუშავება;

ორგანიზაციის საქმიანობის მონიტორინგის და შეფასების სისტემების გამართვა, დოკუმენტების შაბლონების შექმნა;

ორგანიზაციისთვის მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს შექმნა.

14. AI - ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სამყაროში ხელოვნური ინტელექტის სისტემების ძირითადი მექანიზმის გაცნობა;

ხელოვნური ინტელექტის სპეციფიური სისტემების შესწავლა:

მონაცემთა სიმრავლე, დასწავლის ალგორითმი და პროგნოზირება;

ხელოვნური ინტელექტის დამკვიდრება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

15. საჯარო გამოსვლის ხელოვნება და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები აუდიტორიის ფლობის პრინციპები და მნიშვნელობა;

ეფექტური და დასამახსოვრებელი მესიჯების შედგენა;

პრეზენტაციის აწყობა და არავერბალური კომუნიკაცია მსმენელთან.

16. ტრენერთა ტრენინგი ადგილობრივ პოტენციალზე მორგებული მოდულები;

ტრენერების გადამზადება ტრენინგის ორგანიზებისა და ჩატარების მიმართულებით;

ტრენინგის მეთოდოლოგიის, პრაქტიკული დავალებების და სტრუქტურირებული პრეზენტაციების შემუშავება.

დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

lagmestia@gmail.com

+995 595 280 060

სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი

მესტიაში, USAID-ის მხარდაჭერით, სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართა. ფესტივალმა თავი მოუყარა ქართველ და საერთაშორისო კინემატოგრაფისტებს, პროდიუსერებს და სცენარისტებს, და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, მესტიის მნიშვნელობას კინემატოგრაფიისა და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით.

USAID-ის/საქართველოს ეკონომიკური ოფისის დირექტორმა, მიშელ კოშჩიელსკიმ, ფესტივალის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და გამარჯვებულებს წარმატება მიულოცა.

USAID-ის მიერ ფესტივალის მხარდაჭერა ნაწილია ჩვენი უფრო ფართო ძალისხმევისა, მხარი დავუჭიროთ საქართველოს განავითაროს შემოქმედებითი და სხვა ინდუსტრიები მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მდებარე თემებში. ფესტივალმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სვანეთის განსაკუთრებული პეიზაჟები და უნიკალური კულტურა, რაც ხელს შეუწყობს უფრო მდგრადი ტურისტული ბიზნესების განვითარებას სვანეთში.

ფესტივალს რეჟისორმა მარიამ ხაჭვანმა და პროდიუსერმა თეიმურაზ ჩხვიმიანმა 2021 წელს ჩაუყარეს საფუძველი.

ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების მხარდასაჭერად გამართული ღონისძიება ითვალისწინებს მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსსაც. დაწესებულია სხვადასხვა ნომინაცია და პრიზები. ფილმების ჩვენება მესტიის კულტურის ცენტრსა და სეტის მოედანზე, ღია ცის ქვეშ, ყოველწლიურად იმართება.

საერთაშორისო ლაშქრობის ფესტივალი სვანეთში

ევროკავშირის, შვედეთისა და ავსტრიის მხარდაჭერით, პროექტ GRETA –ს ფარგლებში, HIGHLANDER SVANETI x GEORGIA-სთან და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამასთან კოლაბორაციით, 2023 წლის 20-22 ივლისს, სვანეთში, საერთაშორისო ლაშქრობის ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალის მასპინძელი გახლდათ სვანეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაცია Svaneti DMO.

ფესტივალის ფარგლებში, წელს მესტიაში გაიმართა HIGHLANDER SVANETI x GEORGIA-ს ლაშქრობის ღონისძიებების სერია, რომელიც მსოფლიოს საკულტო მარშუტების სიაში შედის. საერთაშორისო ლაშქრობის ფესტივალი, მხარს უჭერს ბუნების კონსერვაციისა და ადვოკატირების ღონისძიებებს და ეკო-ტურიზმს.

ღონისძიებების მიზანია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, აქტური დასვენების წახალისება და ბუნების ხელუხლებელი სილამაზის შეუბღალავად შენარჩუნება.

ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს, ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა დამატებით ღონისძიებებში: კულინარიული მასტერკლასები, კერძების დეგუსტაცია, ადგილობრივი ხელსაქმის მასტერკლასები, საგანმანათლებლო და სხვადასხვა თემატური სესიები, ადგილობრივი ფოლკლორული საღამოები..

პროექტი GRETA | „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“ ევროკავშირის, ავსტრიისა და შვედეთის მხარდაჭერით, საქართველოში ავსტრიის განვითარების სააგენტო ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობას და დამატებითი შემოსავლისშექმნის შესაძლებლობის გაზრდას საქართველოს ეკონომიკის ორ ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორიცაა სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა.

იმუნიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის მხარდაჭერა

მესტიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, დღეს, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა შეხვედრა თემაზე „იმუნიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის მხარდაჭერა ქალაქებსა და სოფლებში შეხვედრას ესწრებოდნენ მესტიის პირველადი ჯანდაცვის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სოფელთა სკოლის ექიმები, თემების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა წარმომადგენლები.

შეხვედრა გახსნა მესტიის საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორმა ნია ბჟალავამ.

შეხვედრას უძღვებოდნენ საქართველოს გაეროს ასოციაციის წარმომადგენელი ზურაბ ალხანიშვილი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ეპიდემიოლოგი ნია ბჟალავა.

შეხვედრის დასასრულს, საუბარი გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სადაც კიდევ ერთხელ გამოიკვეთა იმუნიზაციის შესახებ კამპანიის პროცესში ჩართულობის მზადყოფნა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა ამ ჭრილში.

სკოპინგის ანგარიშის განხილვა

მესტიის მუნიციპალიტეტში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, გაიმართა სკოპინგის ანგარიშის განხილვა, აი ჯი ენერჯის მიერ მდინარე მულხურაზე 45,0 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მულხურა ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების დრო და ადგილი:

• 2023 წლის 20 ივლისი, 12:00 საათი, მესტიის მერიის შენობა;

• 2023 წლის 20 ივლისი, 15:30 საათი, ლენჯერის თემის პირველი საჯარო სკოლის შენობა;

• 2023 წლის 21 ივლისი, 11:00 საათი, ლატალის თემის კულტურის სახლის შენობა;

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსია ასევე ხელმისაწვდომია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, 2023 წლის 21 ივლისის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ

გელოვანის გამზირი N34 ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ.ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი:

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტო).

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, სოფო ანსიანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45

ირმა ჯაჭვლიანი

ელ. ფოსტა:

irmajachvliani1968@gmail.com